



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №217

2016 წლის 20 დეკემბერი

ქ. მცხეთა

„მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების თავმჯდომარეებისათვის საწვავის ლიმიტის გამოყოფის თაობაზე“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 იანვრის №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მეორე ნაწილის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „სამართლიანობის“ შექმნის შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 ნოემბრის №211 განკარგულების საფუძველზე,

1. შეტანილ იქნას ცვლილება „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების თავმჯდომარეებისათვის საწვავის ლიმიტის გამოყოფის თაობაზე“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 იანვრის №15 განკარგულებაში, კერძოდ, ცვლილება განხორციელდეს განკარგულების პირველი პუნქტის „1.3“ ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1.1 „1.3.“ „სამართლიანობა“ - ფრაქციის თავმჯდომარეს გალინა ახსაბაძეს - 100 ლიტრი“;

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს:

2.1. მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება, გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: მცხეთა, სამხედროს ქ №17.

საკრებულოს თავმჯდომარე

ჯემალ სოლოდაშვილი

